

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "RONI"

ქალაქის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო

(ქ. ბათუმი, მამია ვარშანიძეს ქუჩა #211. ს/კ. 05.31.05.123)

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ (წერილი #21/2813, 22.06.2022)

დამატებით მოთხოვნილი და დაზუსტებული ინფორმაცია

თბილისი 2022

მოთხოვნა 1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია იმ ნარჩენების შესახებ (კოდი და დასახელება), რომლის გადამუშავებას გეგმავს კომპანია. ამასთანავე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი 2-ით გათვალისწინებული აღდგენის ოპერაციის შესახებ;

პასუხი: საწარმოში დასამუშავებლად მიღებული ნარჩენების კოდია 20 01 01 (ქალაქი და მუყაო), რომელიც წარმოადგენს კომერციული, საწარმოო და დაწესებულებების ნარჩენებს, რაც ასევე მოიცავს მცირედი ოდენობებით შეგროვებული ნარჩენების ერთობლიობას. აღდგენის კოდით R3.

მოთხოვნა 2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია დასამუშავებლად მისაღები ნარჩენების დროებითი დასაწყობების მეთოდებისა და პირობების შესახებ;

პასუხი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „RONI“-ს ქალაქის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო განთავსებულია ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძეს ქუჩა #211. ს/კ. 05.31.05.123. აღნიშნული საწარმო მაკულატურიდან აწარმოებს ჰიგიენური ტუალეტის ქალაქს. აღნიშნული საწარმო წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ფუნქციონირება დაიწყო 2012 წელს. ტერიტორიის GPS კოორდინატები: X - 220054.0; Y - 4613492.0;

საწარმოს საპროექტო წარმადობა წელიწადში შეადგენს 320 კგ დღეში (8 საათი) ქალაქის ნარჩენების (ე.წ. „მაკულატურის“) გადამამუშავება ანუ წელიწადში 260 სამუშაო დღით 83.2 ტონა ქალაქის ნარჩენების გადამამუშავება, საიდანაც მიიღება დღეში 0,29 ტონა ტუალეტის ჰიგიენური ქალაქი, ანუ წელიწადში 75.4 ტონა პროდუქცია (ტუალეტის ჰიგიენური ქალაქი).

საწარმოში მაკულატურა შემოიტანება სხვადასხვა სახის ორგანიზაციებიდან, სტამბებიდან, ბიბლიოთეკებიდან, საიდანაც იღებს მხოლოდ წიგნებს, რვეულებს, გაზეთებს და საბეჭდო-ობსეტურ ქალაქის ნარჩენებს.

აღნიშნული ნარჩენების, რომელიც შეფუთულია ან შეკრულ, დასაწყობება ხორციელდება საწარმოო შენობაში, სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე, საიდანაც შემდგომ მიეწოდება ტექნოლოგიურ ხაზს გადამამუშავებისათვის.

საწარმოში გადამამუშავების პირველ ეტაპზე ხდება შეკრული მაკულატურის გახსნა და შემდგომ გადარჩევა ხელით. ტექნოლოგიურად ვარგისი მასალა არ უნდა შეიცავდეს უცხო მინარევებს: პოლიეთილენს, პლასტმასს, მეტალს, თოკებს, ე.წ. „სკოჩს“. მაკულატურა არ უნდა იყოს დაბინძურებული ზეთოვანი და ცხიმოვანი ნივთიერებებით, არ უნდა იყოს წყალში უხსნადი მასალა - კალკა, სურათები, ელ. კარდიოგრამის ფირები და ა.შ. საწარმოში ხელით გადარჩევისას ხორციელდება ზემოთ ჩამოთვლილი არა საჭირო ინგრედიენტების მოცილება. გადარჩევისას წარმოქმნილი ნარჩენები, პლასტმასი და ლითონი საწყობდება ცალცაკლე და შემდგომ გადაწემა შესაბამის ორგანიზაციებს შემდგომი გადამამუშავებისათვის, ხოლო უვარგისი მაკულატურა იყრება ნაგვის ბუნკერში, რომელიც შემდგომ გააქვს ქ. ბათუმის დასუფთავების სამსახურს.

გასუფთავებული (ხელით გადარჩეული) მაკულატურა მიეწოდება ჰიდროდამაქუცმაცებელს, რომლის დანიშნულებაცაა ქალაქის მაკულატურის დაქუცმაცება და ბოჭკოების განშრევა. დამუშავება მიმდინარეობს წყალთან ერთად

ყოველგვარი დანამატებისა და საღებავების გარეშე (მეორადი ქალაქიდან მიიღება ისევ ქალაქი).

მოთხოვნა 3. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილია გადასამუშავებლად მიღებული ნარჩენების სეპარირება (გადარჩევა), შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სეპარირების ხაზის ტექნოლოგიის შესახებ. ასევე, მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საწარმოს ექსპლოატაციისას და ასევე მისაღები ნარჩენების სეპარირების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების კოდების, დასახელებების, მოსალოდნელი რაოდენობის და მათი შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ;

პასუხი: საწარმოში გადამამუშავების პირველ ეტაპზე ხდება შეკრული მაკულატურის გახსნა და შემდგომ გადარჩევა ხელით. ტექნოლოგიურად ვარგისი მასალა არ უნდა შეიცავდეს უცხო მინარევებს: პოლიეთილენს, პლასტმასს, მეტალს, თოკებს, ე.წ. „სკოქს“. მაკულატურა არ უნდა იყოს დაბინძურებული ზეთოვანი და ცხიმოვანი ნივთიერებებით, არ უნდა იყოს წყალში უხსნადი მასალა - კალკა, სურათები, ელ. კარდიოგრამის ფირები და ა.შ. საწარმოში ხელით გადარჩევისას ხორციელდება შემოთ ჩამოთვლილი არა საჭირო ინგრედიენტების მოცილება. გადარჩევისას წარმოქმნილი ნარჩენები, პლასტმასი და ლითონი საწყობდება ცალცაკლე და შემდგომ გადაწვემა შესაბამის ორგანიზაციებს შემდგომი გადამამუშავებისათვის, ხოლო უვარგისი მაკულატურა იყრება ნაგვის ბუნკერში, რომელიც შემდგომ გააქვს ქ. ბათუმის დასუფთავების სამსახურს.

ასევე ქალაქის ნარჩენების სეპარირების შედეგად წარმოიშობა შემდეგი სახის ნარჩენები:

- მუნიციპალური ნარჩენები (ქალაქი და მუყაო), ნარჩენების ნუსხის მიხედვით 20 01 01 კოდით, მყარი სახით, წელიწადში 8.5 ტონის ოდენობით, გააქვს შპს „ჰიგიენა 2009“ ქ. ბათუმის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელ პოლიგონზე განსათავსებლად (ნებართვა N 2-1058, 06.11.2019 წ.);
- პლასტმასი (მაკულატურის მომყოლი პლასტმასის ფრაგმენტები), ნარჩენების ნუსხის მიხედვით 20 01 39 კოდით, მყარი სახით, წელიწადში 0.2 ტონის ოდენობით, გააქვს პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოს - შპს „როიალ პლასტიკი“ (ბრძანება N 2-59, 31.01.2022 წ.);
- ლითონები (მაკულატურის მომყოლი ლითონის ფრაგმენტები), ნარჩენების ნუსხის მიხედვით 20 01 40 კოდით, მყარი სახით, წელიწადში 0.2 ტონის ოდენობით, გააქვს ჯართის მიმღებ პუნქტებში;

მოთხოვნა 4. წარმოდგენილი გზმ-ს ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ნარჩენების მართვის გეგმის პროექტში მოცემული წლები;

პასუხი: გზმ-ს ანგარიშში ნარჩენების მართვის გეგმის პროექტში წლების 2020- 2022 წლების ნაცვლად უნდა იყოს წლები: 2022, 2023 და 2024 წლები.

მოთხოვნა 5. გზმ-ს ანგარიშში 4.2 ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად საწარმოო მიზნებისათვის გამოყენებული წყლის ნაწილი საღებავების გავლით ჩაედინება ქ. ბათუმის სანიაღვრე არხში, რომელიც გადის საწარმოს უშუალოდ, გზის პირას. ამავე ქვეთავის ასევე აღნიშნულია, რომ „აღნიშნულ ტერიტორიაზე ქალაქის საკანალიზაციო ქსელის მოწყობის შემდეგ, რომელიც დაგეგმილია 2020 წლისათვის, აღნიშნული წყლების ჩაშვება განხორციელდება ქ. ბათუმის საკანალიზაციო სისტემაში“. შესაბამისად საჭიროებს ობიექტზე წარმოქმნილი საწარმოო წყლების მართვის საკითხები.

პასუხი: ქ. ბათუმში, აღნიშულ ტერიტორიაზე, ვერ მოხერხდა დათქმულ ვადებში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა და მისი მოწყობის შემთხვევაში არღნიშნული საწარმოო წყლები ჩაშვებული იქნება ქ. ბათუმის საკანალიზაციო სისტემაში.